**<u>პროექტი: მეტი მედიაწიგნიერი და არა, სიძულვილის ენას!</u>**

**მიზანი: სასკოლო საზოგადოებაში მედია წიგნიერების კულტურის განვითარება, სიძულვილის ენის ამოცნობა და მისი პრევენციის ხელშეწყობა.**

**პროექტის აღწერა:** როდესაც ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, რა გავლენა და ზიანი მოაქვს მას ადამიანებისათვის, ადამიანთა ჯგუფებისათვის და ზოგადად, საზოგადოებისათვის. ეს გავლენა განსაკუთრებით მძაფრია საჯარო სივრცეში, ვინაიდან საჯარო პირებს ფართო აუდიტორიაზე აქვთ გავლენა.სწორედ ამიტომ, მათ მოეთხოვებათ, რომ თავი შეიკავონ სიძულვილისა და სტიგმატიზაციის ენის გამოყენებისგან და დაგმონ სხვების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.ნებისმიერი ტიპის სიძულვილის ენა ცუდია, თუმცა, ზოგჯერ ის შესაძლოა განსაკუთრებულად მწვავე იყოს. მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენებისკონკრეტული შემთხვევა, შესაძლოა, იყოს უფრო მეტად შეურაცხმყოფელი, დამაზიანებელი და მეტ ადამიანზე ახდენდეს გავლენას მხოლოდ იმიტომ, რომ სიძულვილის ენის ავტორებს სოციალური მედიის პლატფორმებზე ფართო აუდიტორია ჰყავდეთ. სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად, შესაძლოა, გაიზარდოს მათი მიმდევრების რაოდენობა და ჩართულობა.მედია წიგნიერი ადამიანი სწრაფად რეაგირებს ცრუ ინფორმაციაზე,რომელიც შესაძლოა საზოგადოებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდეს.მალევე შეუძლია გამიჯნოს  ერთმანეთისგან ყალბი და ნამდვილი ინფორმაცია,ასევე შეუძლია დეზ ინფორმაციის იდენტიფიცირება და ინფორმაციის წყაროს გადამოწმება,რაც ხელს უშლის საზოგადოების შეცდომაში შეყვანას,თავიდან იშორებს აგრესიული გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია, ვებრძოლოთ არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოვლინებას, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა დავუპირისპირდეთ საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების დონეზე. სიძულვილი ასაზრდოებს რასიზმს, სექსიზმს და ნეგატიურ სტერეოტიპებს. თუ ჩვენ მას თავიდანვე არ დავუპირისპირდებით, ის დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში, გაამყარებს სტერეოტიპებს და გადაიზრდება უფრო საშიშ ქმედებებში, მათ შორის, ფიზიკურ ძალადობაში. ამ შემთხვევაში, სიძულვილის ენა გადაიზრდება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში. ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებს, როგორიცაა მაგალითად გენოციდი და ეთნიკური წმენდა, წინ უსწრებს ან თან ახლავს სიძულვილის ენა.

**<u>დაგეგმილი აქტივობები (ამოცანები) :</u>**

1 კვლევა – სიძულვილის ენა ჩვენს გარშემო

2. კვლევა – სიძულვილის ენა მედია საშუალებებში.

3. თანატოლგანმანათლებელთა საინფორმაციო შეხვედრა – რა არის სიძულვილის ენა?

4.ფილმის ჩვენება და განხილვა (სასტუმრო რუანდა) ჩვენება განხილვა:სიძულვილის ენიდან გენოციდამდე.ასევე ანიმაცია „ფიშინგის“ ჩვენება და განხილვა.

5.თანატოლგანმანთლებელთა საინფორმაციო შეხვედრა – როგორ ვიმექმოდოთ სოციალურ მედიაში სიძულვილის ენის აღმოჩენისას

6.ერთწუთიანი ვიდეორგოლების კონკურსი – სიძულვილის ენა – გაარღვიე ჩაკეტილი სივრცე

7.ტრენინგი – როგორ ვიდებატოთ

8. დებატების ტურნირი

__განხორციელებული აქტივობები:__

1. კვლევა – სიძულვილის ენის შესახებ ინფორმაციის დამუშავება; კვლევის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, კითხვარის შედგენა. მედია საშუალებებზე დაკვირვების რუბრიკის შექმნა. რესპოდენტებთან შეხვედრა გასაუბრება და მონაცემთა შეგროვება. კვლევის შედეგების დამუშავება.

2. თანტოლგანმანთლებელთა საინფორმაციო შეხვედრა – შეხვედრისთვის მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და პრეზენტაციის მომზადება. საინფორმაციო ოთახის მომზადება მონაწილეების მოწვევა და შეხვედრის ჩატარება

3.ერთწუთიანი ვიდეორგოლების კონკურსი – სიძულვილის ენა – გაარღვიე ჩაკეტილი სივრცე – კონკურისი პიროებების შემუშავება. კონკურსთან დაკავშირებიღ საინფორმაციო პოსტერის მომზადება გავრცელება სოციალურ ქსელში; ჟიურის მოძებნა მოლაპარაკება. ვიდეორგოლების გავრცელება სოციალურ ქსელში, შეფასება გამარჯვებულის გამოვლენა.

4.ტრენინგი – როგორ ვიდებატოთ – ტრენერი მოწვევა დებატების ტექნიკების გაცნობის მიზნით. (ან სადებატო მასალების დამუსავება). მონაწილეების შერჩევა ტრენინგისთვის.

5. დებატების ტურნირი – რეზოლუციების შედგენა; ჯგუფებად დანაწილება; მსაჯის შერჩევა; დებატებისთვის აუდიტორიის შერჩევა და განსაზღვრა; გამარჯვებულის გამოვლენა.

6. პროექტის შეჯამება,შეფასება

__შედეგი:__

**მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ ინტერნეტთან ურთიერთობის კულტურა,შეძლებენ ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის გამიჯვნას,ასევე სხვადსხვა პლათფორმს გამოყენებას.ჩამოუყალიბდებათ და გაეზრდებათ კომპენტენცია მედიაწიგნიერების შესახებ. მოსწავლეები შეძლებენ იმსჯელონ სიძულვილის ენისა და მისი შედეგების შესახებ.თავად არ გამოიყენებენ სიძულვილის ენას, სიძულვილის ენის ფაქტების აღმოჩენისას კი შეძლებენ სწორად რეგაირებას. საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ არგუმენტირებულად.**